წესები და პირობები

კომპანიის პროფილი

შპს „ტანთის“ ბაზაზე (ს/კ 405 382 212) ფუნქციონირებს ქალის, მამაკაცის, ბავშვის ფეხსაცმლის, აქსესუარებისა და ტანსაცმლის მულტი ბრენდული სავაჭრო ცენტრი „შუზ პლაზა“.

კომპანია და ქართველ მომხმარებელს სთავაზობს ევროპული, პრემიუმ ხარისხის ბრენდების განახლებად, მრავალფეროვან სეზონურ კოლექციებს.

მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ონლაინ მაღაზიით ან ადგილზე შეიძინოს სასურველი პროდუქცია.

საიტზე არსებულ ყველა პროდუქტის სარეალიზაციო ფასი მითითებულია უშუალოდ გასაყიდ ნივთზე. იმ შემთხვევაში თუ პროდუქციას ეხება ფასდაკლება, ფასდაკლებული ფასი მითითებულია და გამოყოფილია წითელი ფერით საწყისი ფასის მარცხენა მხარეს, ხოლო ფოტოსურათის ზემოთ ნივთის პროცენტული ფასდაკლების ნიშანი არის გამოსახული.

იმის გათალისწინებით, რომ საიტზე განთავსებულია პროდუქცია არის მულტი ბრენდული, მწარმოებლის დასახელება მოცემულია უშუალოდ სარეალიზაციო ნივთზე და მის შეფუთვაზე;

პროდუქციის სარეკლამო მასალები ხელმისაწვდომია სოციალური მედიის პლათფორმებზე:

https://www.facebook.com/shoesplazageorgia/
https://www.instagram.com/shoesplazageorgia/

საკონტაქტო ინფორმაცია:
ვაჟა ფშაველას გამზ. II კვარტალი, N57, თბილისი (იურიდიული მის.)
ქარვასლას აუთლეტ სივრცე, ცოტნე დადიანის N7, თბილისი
+995 511 14 27 14
+995 511 14 28 14
info@shoesplaza.ge

მომხმარებლის უფლებები (კანონისმიერი გარანტია)

- **თუ საქონელი** ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

- საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს **გონივრულ ვადაში**, ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც მან ეს საქონელი შეიძინა.

- მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა: ა) საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია; ბ) მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა; გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.

- მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

- მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ზემოხსენებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.

- თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

დაბრუნება და გადაცვლა

გამოუყენებელი ნივთის დაბრუნება ან გადაცვლა შესაძლებელია შესყიდვიდან **14 დღის** ვადაში.

- ნივთების გადაცვლა შესაძლებელია ზომაში ან სხვა ფერში, თუ არ არის შეძენილი ფასდაკლების დროს.
- ჩვენს მაღაზიამდე მოტანამდე ნივთებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს;
- ნივთები უნდა დაბრუნდეს ორიგინალ შეფუთვაში.
- ნივთის გადაცვლის, დაბრუნების და თანხის დაბრუნების დროს გათვალისწინებულია მხოლოდ შეძენის დროს არსებული ფასი.
- თანხის ანაზღაურება მოხდება იმავე წესით, როგორც მოხდა შეძენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს.
- მომხმარებელი ვალდებულია შეავსოს ნივთის დაბრუნების ფორმა სათაო მაღაზიაში (მდებ. ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-2კვ. N59) ადგილზე ან ელექტრონული ვერსი გადმოგზავნოს ელ-ფოსტაზე.

ნივთის დასაბრუნებლად/შესაცვლელად

- **მომხარეგელმა თან** უნდა იქონიოს შესყიდვის ჩეკი;
- ნივთი არ უნდა იყოს გამოყენებული, გარეცხილი ან დაზიანებული;
- ფეხსაცმლის ყუთზე სამარკო ნიშანი და კოდი არ უნდა იყოს მოხსნილი ან დაზიანებული;

ნივთის დაბრუნების და ღირებულების ანაზღაურების პირობები

- ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია: მოვაჭრეს ან მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს დაუბრუნოს საქონელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

- **მომხმარებელმა** გასწიოს საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი.

- იმ შემთხვევაში, თუ ნივთის მახასიათებლები არ შეესაბამება საიტზე მითითებულ მონაცემებს, ნივთს გააჩნია თავდაპირველი ნაკლი ან ნივთი დაზიანებულია ტრანსპორტირების შედეგად, პროდუქციის უკან დაბრუნებას უზრუნველყოფს მოვაჭრე თავისი რესურსით.

- მოვაჭრე ვალდებულია ნივთის უკან დაბრუნების შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, უკან დაუბრუნოს მომხმარებელს მის მიერ გადახდილი თანხა. მოვაჭრეს უფლება აქვს, უარი თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს საქონლის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე განხორციელდება.

- ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისი მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას იმ საქონელზე ან მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება.

- მომხმარებელს კუთვნილი თანხა დაუბრუნებდა 2-5 სამუშაო დღის ვადაში იმ ანგარიშზე, საიდანაც მოხდა ფულის ჩარიცხვა. თანხის დაბრუნება მოხდება მას შემდეგ, რაც დაბრუნებულ პროდუქტს მივიღებთ ადგილზე და ის დააკმაყოფილებს ზემოთხსენებულ მოთხოვნებს.

პროდუქციის შეძენა www.shoesplaza.ge -ზე

შესყიდვის გაკეთებისას, საჭიროა პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის (პასპორტის ნომერი სხვა ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში) მითითება, რომ თქვენი შეკვეთის გამოგზავნისას მოხდეს ტრანსპორტირების ზედნადების ატვირთვა. ბარათით გადახდის შემთხვევაში მონაცემები უნდა შეიყვანოთ ბანკის გვერდზე, რომელზეც გადახვალთ ონლაინ **საყიდლების კალათიდან**.

შეძენილი პროდუქციის ტრანსპორტირება შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით, მომხმარებლის მიერ მითითებულ ნებისმიერ მისამართზე. უფასო **ტრანსპორტირების სერვისის მიმწოდება ხდება საქართველოს ფოსტის დაზღვეული გზავნილით** თბილისის მასშტაბით 1-3 კალენდარულ დღეში, ხოლო რეგიონების მასშტაბით 2-5 კალენდარულ დღეში.

სწრაფი მიწოდება თბილისის მასშტაბით შეკვეთიდან 3 საათში არის შეესაძლებელი. მიტანის სერვისის ინდივიდუალურ ტარიფს ადგენს **ჩვენს მიერ** შერჩეული ტაქსის კომპანია, რომლის საფასურს მომხმარებელი იხდის ადგილზე გზავნილის მიღებისას, **ჩვენი კომპანიის წარმომადგენლის მიერ ტრანსპორტირების** ღირებულების წინასწარი შეთანხმებით.

www.shoesplaza.ge -ზე ანგარიშსწორება შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის Visa, Mastercard, და Amex ბარათის მეშვეობით ან კომპანიის რომელიმე საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. საიტზე ასევე, მოქმედებს საქართველოს ბანკის ონლაინ განვადების ფუნქციონალი.

მომხმარებლის მიერ საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმა

მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გარდა).

ეს ვადა აითვლება: მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებიდან; ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში – მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირისმიერ (გარდა გადამზიდავისა) საქონლის მფლობელობაში მიღებიდან;

მომხმარებლის მიერ საქონლის ნაწილ-ნაწილ შეკვეთის შემთხვევაში – მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან;

საქონლის რეგულარულად (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში – მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) ნივთის მფლობელობაში პირველად მიღებიდან.